TOURISM PRODUCT DEVELOPMENT AGENCY
84/86 Pharnavaz Mepe str. Batumi, Ajara, Georgia
Tel: +995 577 90 90 93 / 91
E-mail: info@visitajara.com
www.visitajara.com

Batumi
GEORGIA

ბათუმის ფრინველებზე დაკვირვების
მე-9 საერთაშორისო ფესტივალი



# BATUMI BIRD FESTIVAL

Come to experience the worlds biggest raptor migration and enjoy birding activities, bird walks and presentation by leading experts!

Raptor watching

Evening lectures

Birding activities

SCAN THE CODE TO REGISTER

BatumiBirdFest.com

19-22 SEPTEMBER, 2023

Batumi birdfest 2023

# CONTENTS


Birdwatching in Ajara — 4
ფრინველებზე დაკვირვება აჭარაში

Batumi bird festival program — 8
ფესტივალის პროგრამა

Our speakers — 14
მომხსენებლები

Birding watchpoints of Ajara — 28
სადამკვირვებლო პლატფორმები აჭარაში

# ფრინველებზე დაკვირვება აჭარაში

დედამიწაზე ცოტა ადგილია, სადაც ფრინველების მიგრაციის თვალის დევნება ისეთი შთამბეჭდავი შეიძლება იყოს, როგორც ეს ბათუმშია. 2008 წელს, „Batumi Raptor Count“-მა პირველად გაასაჯაროვა, რომ 800 000-ზე მეტი მტაცებელი ფრინველი დააფიქსირეს ამ სფეროთი დაინტერესებული მასებისთვის თითქმის უცნობი ადგილის ცაზე. აქედან მოყოლებული, ფრინველებზე დაკვირვების ასეულობით სპეციალისტი თუ მოყვარული სტუმრობს ჩვენს მხარეს და მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება.



აჭარაში ფრინველებზე დაკვირვების სეზონი 2 თვეს გრძელდება, ოფიციალურად იწყება 16 აგვისტოს და 16 ოქტომბერს იხურება. ბათუმის ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი (BBF) სექტემბრის დასაწყისში იმართება, მაშინ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა ჯერ კიდევ მაღალია, ბუნებასაც არ უცვლია ფერები, ფრინველთა მიგრაციის



პროცესი კი ზენიტშია და ყველაზე მეტად მიმზიდველია როგორც ამ დარგის მეცნიერებისთვის, ასევე მოყვარულებისთვისაც, რომლებიც ამ დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოემართებიან ჩვენსკენ.



ბათუმის სამიგრაციო დერეფანი ერთ-ერთი უმსხვილესია და სიდიდის მიხედვით მესამე ადგილს იჭერს მსოფლიოში. ფესტივალი რეგულარულად 2012 წლიდან იმართება და უფრო და უფრო მეტი ადამიანი გამოხატავს მასზე დასწრების სურვილს.

ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალის ორგანიზატორია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო. თავად ფესტივალის შექმნის იდეა კი გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „Batumi Raptor Count (BRC)-ს ეკუთვნის.



## BIRDWATCHING IN AJARA

There are few places on earth where bird migration is as impressive as in Batumi. In 2008, the first Batumi Raptor Count made headlines when over 800 000 raptors were counted at this poorly known bottleneck. Since then, hundreds of birders have visited the place, and its fame has continued to grow.

The season of birdwatching in Ajara officially starts on August 16 and ends on October 16. Batumi Birdwatching Festival (BBF) takes place in early September when the air temperature has not significantly decreased, nature has not changed its colors, and the mass migration of birds has already begun and attracts both amateurs and scientists from various countries of the world.

The Batumi Migration Corridor is one of the largest, ranking 3rd in the world. The festival is celebrated regularly since 2012, and there are always a lot of people willing to attend it.

The festival is organized by the Tourism Product Development Agency of the Department of Tourism and Resorts of Ajara. The idea of holding such a festival belongs to the International Environmental Protection Organization BRC (Batumi Raptor Count).

Batumi
birdfest
2023

# ბათუმის ფრინველებზე დაკვირვების მე-9 საერთაშორისო ფესტივალის პროგრამა

# 9TH INTERNATIONAL BATUMI BIRD FESTIVAL PROGRAM

# ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

Batumi birdfest 2023

## ᲓᲦᲔ 1 - 18 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2023

**15:00-19:00** მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვება სახალვაშოში
(არსებული ამინდის გათვალისწინებით)

## ᲓᲦᲔ 2 - 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2023

**06:45-08:00** ფრინველებზე დაკვირვება სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე

**09:00-13:00** მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვება სოფელ კვირიკეში, „შალე კვირიკეს“
ახალი ბერდვოჩინგ წერტილიდან. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით
მტაცებელ ფრინველებზე ნადირობის წინააღმდეგ პროექტის საწყისი ეტაპების გაცნობა.

**14:10-16:10** ბერდვოჩინგი ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ლოკალური ფრინველის
შავთავა ხეცოციას სანახავად.

### ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ

**19:00-19:20** მისასალმებელი სიტყვა – ფესტივალის ორგანიზატორები, აჭარის ტურიზმის
დეპარტამენტი

**19:20-20:00** ნიკა პაპოშვილის ლექცია: გარიელის დაცვა – კავკასიის იხვების გადარჩენა
გარდაუვალი გადაშენებისგან

**20:00-20:40** ნოამ ვეისის ლექცია: ადგილობრივი თემის ჩართულობა კონსერვაციაში და
ფრინველთა კონსერვაცია ილათის ფრინველთა თავშესაფარში

**20:40-21:20** გიორგი იანქოშვილის ლექცია: საქართველოს ამფიბიები და ქვეწარმავლები

**21:20-22:00** ყავაზე შესვენება

**22:00-22:40** ზურაბ გურგენიძეს ლექცია: ბექობის არწივის კონსერვაცია საქართველოში

**22:40-23:20** გიზო სესკურიას ლექცია: FFI საქართველო

**23:20-00:00** მტაცებელ ფრინველთა მიგრაცია ბათუმის სამიგრაციო დერეფანში –
მომხსენებელი BRC

## ᲓᲦᲔ 3 - 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2023

**06:45-08:00** ბერდვოჩინგ გასეირნება პარკში, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორია

**09:00-13:00** მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვების ვორქშოპი სახალვაშოში ან სოფელ შუამთაში.
დამოკიდებულია ამინდზე და მიგრაციის ინტენსივობაზე

**14:00-17:00** ბერდვოჩინგი ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ლოკალური ფრინველის
სავტავა ხეცოციას სანახავად.

**17:00-18:00** ქალაქის ტური და ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება

**18:00** ბერდვოჩინგი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე

## ᲓᲦᲔ 4 - 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2023

**06:00-13:00** ბერდვოჩინგი მალთაყვას შესართავთან, ჭურიის შესართავთან და ნავით
გასეირნება პალიასტომის ტბაზე

**14:00-16:00** მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვება სოფელ შუამთაში

## ᲓᲦᲔ 5 - 22 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2023

**06:45-08:00** ბერდვოჩინგ გასეირნება პარკში, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორია

**09:00-13:00** ბერდვოჩინგი მტირალას ეროვნული პარკში

**14:40-16:40** ჭოროხის დელტას მიმდებარე ტერიტორიაზე ფრინველების დარგოლვის პროცესში
მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების ჩართულობით

**17:00-23:00** ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება.
ბაზიერების საჩვენებელი გამოსვლა.
გალა ვახშმის ჩატარება დამოკიდებულია ამინდის მდგომარეობაზე და შესაძლოა
აქტივობა გადანაცვლდეს სხვა დღეს.

# FESTIVAL PROGRAM

Batumi birdfest 2023

## DAY 1 - 18, SEPTEMBER 2023

**15:00-19:00** Raptor watching in Sakhalvasho (if there is proper weather)

## DAY 2 - 19, SEPTEMBER 2023

**06:45-08:00** Warbler-walk around hotel grounds

**09:00-13:00** Birdwatching in the village of Kvirike at the "Chalet Kvirike" new observation point. Familiarization with the initial stage of the project against hunting predatory migratory birds.

**14:10-16:10** Checking the area for the Krüpers nuthatch near to Botanical garden

### EVENING LECTURES

**17:00-17:20** Welcome word by festival organizers and representatives of the Department of Tourism and Resorts of Ajara

**17:20-18:00** Lecture by Nika Paposhvili. Safeguarding Velvet Scoters: Diverting Duck from Imminent Extinction in the Caucasus

**18:00-18:40** Lecture by Noam Wais. Community based conservation at the Eilat Bird Sanctuary

**18:40-19:20** Lecture by Giorgi Iankoshvili - Ilia State University. Reptiles and Amphibians of Georgia

**19:20-20:00** Coffee-break

**20:00-20:40** Lecture by Zurab Gurgenidze. Conservation of Eastern imperial eagle in Georgia

**20:40-21:20** Lecture by Gizo Seskuria FFI Georgia

**21:20-22:00** Overview raptor count in Batumi (by BRC-team)

## DAY 3 - 20, SEPTEMBER 2023

**06:45-08:00** Birding Seaside Park

**09:00-13:00** Raptor-watching workshop in Sakhalvasho or Shuamta (depends on the weather and migration)

**14:00-17:00** Check the area for the Krüpers nuthatch near to Botanical garden

**17:00-18:00** Batumi city tour

**18:00** Birding in seaside park

## DAY 4 - 21, SEPTEMBER 2023

**06:00-13:00** Birding in Maltakva delta, Churia delta and bout trip on Paliastomi lake

**14:00-16:00** Raptor-watching in Shuamta

## DAY 5 - 22, SEPTEMBER 2023

**06:45-08:00** Warbler-walk around hotel grounds

**09:00-13:00** Walk in Mtirala NP

**14:40-16:40** Visiting Chorokhi delta for the youth and join in bird ringing activities with SABUKO/ Later birding nearby Chorokhi Delta / Discussion about practical challenges of Chorokhi Delta

**17:00-23:00** Bird festival celebration event. Falconers show by invited professional falconers. (Please note that the gala dinner is subject to weather conditions and may be rescheduled to another day).

Batumi birdfest 2023

# ჩვენი მომხსენებლები

# OUR SPEAKERS



# ნოამ ვეის

## ქვეყანა: ისრაელი

**ორგანიზაცია:**
ფრინველთა საერთაშორისო ბერდვოჩინგისა & კვლევის ცენტრი ილათში, ბირდლაიფ ისრაელი, საზოგადოება ბუნების დაცვისათვის ისრაელში.

**პოზიცია:** დირექტორი

**პრეზენტაციის დასახელება:**
ადგილობრივი თემის ჩართულობა კონსერვაციაში და ფრინველთა კონსერვაცია ილათის ფრინველთა თავშესაფარში.

**ელექტრონული ფოსტა:**
noamw@spni.org.il





ნოამ ვეისი არის „ფრინველთა საერთაშორისო ბერდვოჩინგისა & კვლევის ცენტრი ილათში, ბირდლაიფ ისრაელი, საზოგადოება ბუნების დაცვისათვის ისრაელში“-ის დირექტორი 2014 წლიდან და მუშაობს ბუნების კონსერვაციისათვის 2004 წლიდან. მისი ინტერესია ადგილობრივი თემის ჩართულობაზე დაფუძნებული ბუნების კონსერვაცია და ფრინველების დაცვა. ნოამმა და მისმა გუნდმა განავითარეს ილათის ფრინველთა თავშესაფარი, რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვით კულტურას და ბუნების კონსერვაციას. ახორციელებს კემპინგს, კვლევას, საგანმანათლებლო სამუშაოებს და ეკოტურიზმს. საზოგადოებრივი მხარდაჭერა და გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე, ფრინველთა თავშესაფრის აქტივობები ქმნის კომბინაციას, რომელთა წყალობით, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობისა და მონაცემთა შეგროვების ხარჯზე მიგრირებადი ფრინველები არიან დაცულნი.
მიგრირებადი ფრინველების დაცვისათვის ილათში და სამხრეთ არავაში ნოამ ვეისმა შეიმუშავა პროექტები, რომლებიც წარმოადგენს ფრინველთა ჰაბიტატს, შესვენების ადგილებს და საარსებო გარემოს მიგრირებადი ფრინველებისთვის. აღნიშნული ჰაბიტატები შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი, რომლებიც მონიტორინგის ქვეშ იმყოფება და სამოქმედო გეგმაც გააჩნია.

ილათის წყლის კომპანია “En Netafim” შეცვალა წყლის გადამუშავების რეზერვუარის ადგილის დაგეგმარება, რომლითაც მოხდა არსებული საფრთხეების მინიმალიზება და შეიქმნა ახალი შესაძლებლობები მიგრირებად ფრინველთა შესვენების ადგილებში საკვები ბაზის გამდიდრებისა და უსაფრთხოების ზრდის კუთხით.

ნაომ ვაისი ხელმძღვანელობს სხვადასხვა პროექტებს, მათ შორის, ფრინველთა მონიტორინგს, რომელიც მოიცავს სტანდარტიზებულ დღიურ დარგოლვებს ფრინველთა მიგრაციის სეზონზე, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კვლევას, შესვენების ადგილების კვლევას და მონიტორინგს ყოველ 10 წელიწადში, 3 თანმიმდევრულ წელიწადს საგაზაფხულო დათვლებს ილათშის სამიგრაციო დერეფანში.

ნოამმა და მისმა გუნდმა მიიღეს ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოები ბუნების კონსერვაციისათვის გაწეული საქმიანობისათვის და დღესაც დაუღალავად აგრძელებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.



# NOAM WEISS

## Country: ISRAEL

**ORGANIZATION:**
International Birding & Research Center
Eilat, Birdlife Israel, Society for the Protection
of Nature in Israel
**POSITION:** Director
**PRESENTATION TOPIC:**
Community based conservation
at the Eilat Bird Sanctuary
**EMAIL ADDRESS:** noamw@spni.org.il

Noam Weiss is the director of the international Birding & Research Center, Eilat (IBRCE) since 2014, and works in nature conservation since 2004. His passion is community based nature conservation for birds. Noam and his team developed the Eilat Bird Sanctuary to a hub for environmental culture and nature conservation, combining active conservation, managing campaigns, research, communal and educational work, and Eco-tourism. To safeguard the migratory birds flyway in Eilat and Southern Arava Noam initiated and lead projects such as the masterplan for stopover sites where busiest sites



that birds actually use – natural or man-made habitats (recycled sewage work reservoir, salt factory, urban gardens and settlements, fields and plantations) are monitored and have an action plan. The Eilat water company "En Netafim" had changed its recycled water reservoir site management, invested in mitigating hazards for birds and exploited opportunities to enhance the site as a safe and nutritious stopover station. A community based project in Kibbutz Neot Smadar changes the perception of people of their living environment as homes, gardens and facilities into understanding it as a habitat for wildlife. We analyze together every habitat within the control of the settlement and with experts, we change management, mitigate hazards and use opportunities to improve their homes and infrastructure as habitats of a wide diversity of wildlife.Noam is a full time birder also involved in research. His main research objectives are studying bird migration in Eilat, distribution of desert birds and migratory passerines as pest control agents in agriculture. The IBRCE and Noam are involved in improving fields and plantations as stopover sites for birds. Their approach is to demonstrate the role of ecological system services and research how to enhance this services to a level that chemical pesticides use will be significantly reduces. The monitoring plan includes standardized daily bird ringing on migration seasons, endangered species field surveys, stopover sites monitoring and every 10 years, 3 consecutive years of spring raptor counts at the Eilat bottle-neck.In addition, Noam and his team have created diverse cross border activities such as the "Guardians of the Flyway", a cross border regional network of bird conservationists who work along the eastern Mediterranean flyway and helped train conservationists from the region. Every year, the SPNI and the IBRCE are running the "Champions of the Flyway" birding race in Eilat, to raise funds to stop illegal killing of birds along the flyway, and have some world class fun.Noam and his team earned national and international awards for their nature conservation work.









# ნიკა პაპოშვილი

## ქვეყანა: საქართველო

**ორგანიზაცია:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკოლოგიის კვლევის ინსტიტუტი, მკვლევარი / PhD სტუდენტი / არასამთავრობო ორგანიზაცია „გარიელი" - დირექტორი.
**პრეზენტაციის სათაური:**
გარიელის დაცვა: იხვისებრთა ფრინველების დაცვა გარდაუვალი გადაშენებისგან კავკასიის რეგიონში.
**ელექტრონული ფოსტა:**
nika.paposhvili.1@iliauni.edu.ge





ნიკა პაპოშვილი გაიზარდა კახეთის რეგიონში, ტყითა და მდინარეებით გარშემორტყმულ პატარა სოფელში. მისი ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საარსებო წყარო ბუნებრივი რესურსები იყო. ალბათ ამიტომაც იყო ბუნებით გატაცებული ბავშვობიდან. მან დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, აქვს ბაკალავრის ხარისხი. რამდენიმე თვე მუშაობდა ბანკში, მაგრამ მალევე გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ბუნებაში, მეტი გაეგო და დრო დაეთმო ახალი აღმოჩენებისა და კონსერვაციისთვის. ამ იდეის განსახორციელებლად 2013 წელს დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა ეკოლოგიის მიმართულებით. მას შემდეგ იგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოში სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ კვლევებსა და კონსერვაციაში. 2020 წლიდან არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის დოქტორანტი, მუშაობს კავკასიაში შემორჩენილ გარიელის (Melanitta fusca) ბოლო პოპულაციაზე, რომელიც მან აღმოაჩინა 2015 წელს ტაბაწყურის ტბაზე, საქართველოში. ნიკამ დაიწყო დაფინანსების ძებნა ადგილზე არსებული სახეობების კვლევისა და კონსერვაციის მხარდასაჭერად. 2017 წელს მიიღო დაფინანსება „Future Conservationist Award“ Conservation Leadership Programmer-ისგან (CLP) და „1st Rufford Small Grant“ Rufford Foundation-ისგან, რამაც საშუალება მისცა შეექმნა გუნდი და დაეწყო ჯავახეთში გარიელის შესახებ ინფორმაციის კვლევა. 2019 წელს მისმა გუნდმა დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „გარიელი“. 2020 წლიდან ის არის ამ ორგანიზაციის დირექტორი და პირადად ხელმძღვანელობდა მის ყველა კვლევასა და კონსერვაციას. მას შემდეგ ორგანიზაციამ მიიღო "2nd Rufford Small Grant" და "Conservation Follow-up Award", ხოლო ნიკამ, როგორც დოქტორანტმა, 2021 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით მიიღო გრანტი შოთა რუსთაველის ფონდის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისგან - საველე სამუშაოები და ლაბორატორიული გამოყენება. ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწია - საქართველოში გარეული ფრინველების შესწავლასა და შენარჩუნებაში. მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, ნიკამ და მისმა გუნდმა მრავალი გამოწვევის გადალახვა მოახერხეს და 2017 წელს კუნძულზე მობუდული 6 წყვილი გარიელი, 2022 წელს 39 წყვილამდე გაიზარდა.



# NIKA PAPOSHVILI

## Country: GEORGIA

**ORGANIZATION:**
Ilia State University, Institute of Ecology – Researcher/PhD Student;
NGO “GARIELI” – Director.

**PRESENTATION TOPIC:** Safeguarding Velvet SCOTERS: Diverting Duck from Imminent Extinction in the Caucasus

**E-MAIL:** nika.paposhvili.1@iliauni.edu.ge

Nika Paposhvili grew up in a small village surrounded by woodland and a river in Kakheti region, Georgia. He graduated with a bachelor’s degree in business administration at Agricultural University of Georgia and then worked at the bank for several months, but soon then decided to return to nature, learn more, and devote himself to new discoveries and conservation. With this mindset, in 2013 he finished MSc program in Ecology at Ilia State University, Georgia. Since then, he has been actively involved in several research and conservation efforts carried out by various governmental and non-governmental organizations in Georgia.



Since 2020, he has  been a PhD student of Ecology at Ilia State University Georgia, working on the last breeding population of Velvet Scoter (Melanitta fusca) remaining in the Caucasus that he rediscovered in 2015 at Lake Tabatskuri, Georgia. He started looking for funding to support research and conservation efforts for the species at the site. In 2017, he received funding „Future Conservationist Award“ from the Conservation Leadership Programmer (CLP) and „1st Rufford Small Grant“ from the Rufford Foundation, which enabled him to create a team and start uncovering key information about the Velvet Scoter in the Javakheti Plateau to underpin its future conservation. Already in 2019, his team founded the NGO “GARIELI” (the Georgian name for the Velvet Scoter). Since 2020, he has been the director of this organization and has personally led all of its research and conservation efforts. Since then, the organization has received the "2nd Rufford Small Grant", and "Conservation  Follow-up Award", and Nika, as a PhD student, received a grant from Shota Rustaveli fund doctoral educational programs in 2021 and Ilia State University support for fieldwork and laboratory use. The organization has enjoyed success in achieving its aims to study and conserve wildfowl in Georgia. Despite the short period, Nika and his team managed to overcome many challenges, and the 6 pairs nesting on the island in 2017 have increased to 39 pairs in 2022.














# ზურაბ გურგენიძე

**ქვეყანა: საქართველო**

**ორგანიზაცია:** საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის - „საბუკო“
**პოზიცია:** კონსერვაციის მენეჯერი
**პრეზენტაციის სახელწოდება:** ბექობის არწივის კონსერვაცია საქართველოში
**ელექტრონული ფოსტა:** zurab.gurgenidze@sabuko.org

ზურაბ გურგენიძე არის „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის – საბუკო“-ს კონსერვაციის მენეჯერი 2020 წლიდან, ბუნების დაცვაში მუშაობს 2014 წლიდან. მისი გატაცებაა ფრინველების დაცვა.
ზურაბმა და მისმა გუნდმა, რომლებიც მუშაობენ ბექობის არწივზე, შეისწავლეს მოსახლეობის მიერ გამოწვეული საფრთხეები სახეობის გამრავლების ადგილებზე და პრობლემები, რომლებსაც ბექობის არწივები აწყდებიან მიგრაციის დროს.
კონსერვაციული ღონისძიებები მოიცავს სხვადასხვა სამუშაოებს, GPS თვალთვალს, სისხლის ნიმუშების შეგროვებას, ნაცხების ნიმუშების აღებას ფრინველის კლოაკალსა და პირის ღრუდან, რომლებიც განკუთვნილია ლაბორატორიული გამოკვლევებისთვის, რათა დადგინდეს პოპულაციის შეჯვარების დონე, ასევე ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები.
პროექტი მოიცავს ბუდეების ინტენსიურ მონიტორინგს, რომელიც იძლევა პოპულაციის შესახებ ღირებულ მონაცემებს. ზურაბმა ასევე დაამონტაჟა ბუდეებზე ცოცხალი კამერები საკვების ბაზის და იმ საფრთხეების შესასწავლად, რომლებსაც მართვე აწყდება ბუდეში ყოფნისას.
სახეობების დასაცავად ზურაბი მუშაობს მეზობელ ქვეყნებთან ბექობის არწივის მიგრაციის მარშრუტებზე არსებული საფრთხეების გადასაჭრელად, ასევე ეროვნულ დონეზე SAP სახეობების სამოქმედო გეგმაზე მომუშავე სახეობის დაცვის გაზრდის მიზნით.
ზურაბი ასევე არის შავი ზღვის სანაპიროზე ფრინველების დარგოლვის სადგურის დამფუძნებელი. მისი ძირითადი კვლევითი მიზნებია ფრინველების მიგრაციის შესწავლა შავი ზღვის სანაპიროზე.
ფრინველთა დარგოლვის სადგურის მიზანია ფრინველების მიგრაციის სეზონებზე სტანდარტიზებული სქემების შედგენა, აგრეთვე შესვენების ადგილების მონიტორინგი, ჰაბიტატების დაცვა და საფრთხეების იდენტიფიცირება.



# ZURAB GURGENIDZE

**Country: GEORGIA**

**ORGANIZATION:**
Society for nature conservation - SABUKO
**POSITION:** Conservation manager
**PRESENTATION TOPIC:** Conservation of Eastern imperial eagle in Georgia
**E-MAIL:** Zurab.gurgenidze@sabuko.org

Zurab Gurgenidze is a conservation Manager of the Society for nature conservation SABUKO since 2020, and works in nature conservation since 2014. His passion is bird conservation.

Zurab and his team working for eastern imperial eagle studied the population threats on breeding sites and problems that individuals are facing during their migration.

This work contains GPS tagging and ringing of individuals also taking blood, cloacal and oral samples for laboratory surveys to determine the inbreeding level of the population also bacterial and virus traits.

The project includes intensive monitoring of nests giving valuable data of population trends. Also Zurab installed live cameras




on nests to study food base and threats that nestlings are facing during their stay in the nest.

To secure species Zurab is working with neighbor countries to solve threats on the migration routes of Imperial Eagle. Also to increase the protection of the species Zurab working on SAP Species action plan at the national level.

Zurab is a founder of a bird ringing station based on the Black sea coast.
Bird ringing station aim is to ring birds with the standardized scheme on migration seasons, to monitor stopover sites, protect habitats and identify threats.



# გიზო სესკურია

**ქვეყანა: საქართველო**

**ქვეყანა**: საქართველო
**ორგანიზაცია**: Fauna and Flora
**პოზიცია**: კონსერვაციის ოფიცერი
**სალექციო თემა**: FFI - ფაუნა და ფლორა მტაცებელ ფრინველთა კონსერვაციისთვის საქართველოში
**ელექტრონული ფოსტა**:
Gizo.Seskuria@fauna-flora.org

გიზო სესკურია არის გეოგრაფიისა და GIS ტექნოლოგიების მაგისტრი. მისი კარიერა ბუნების კონსერვაციაში 2016 წელს SABUKO-ში მუშაობით დაიწყო. ამის შემდეგ მან განაგრძო მუშაობა BRC-ში გადამფრენი ფრინველების მონიტორინგისთვის. გარდა საქართველოში მიღებული გამოცდილებებისა, მან სტაჟირება გაიარა ნიდერლანდებში, სადაც გაიღრმავა თავისი გამოცდილება ბუნების უმსხვილეს სამაშველო ცენტრში (VRC Zundert). ასევე, მას ჰქონდა შესაძლებლობა ემუშავა ცხოველთა ადვოკატირებასა და დაცვაში (AAP), რომლის ძირითადი მიზანია ეგზოტიკური ცხოველების კეთილდღეობა ევროპის კონტინენტზე.

გიზოს მოგზაურობა კონსერვაციის სფეროში კონტინენტებზეც გავრცელდა. მან წარმატებით დაასრულა კონსერვაციის მეცნიერების სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში, Hawk Mountain Sanctuary-ში, რომელიც მსოფლიოში პირველი თავშესაფარია მტაცებელი ფრინველებისთვის, სადაც მიღებულმა მრავალფეროვანმა გამოცდილებამ, გააღრმავა მისი ცოდნა ფრინველების კონსერვაციის პრაქტიკებსა და სტრატეგიების შესახებ. ამჟამად გიზოს ფლორისა და ფაუნის კავკასიის პროგრამის ფარგლებში, კონსერვაციის ოფიცრის ღირსეული თანამდებობა უკავია. მისი აქტიური მონაწილეობა კონსერვაციის პროექტების მრავალფეროვან სპექტრში, ხაზს უსვამს მის ურყევ ერთგულებას დაიცვას ჩვენი ბუნებრივი სამყარო და მისი წარმომადგენლები.




# GIZO SESKURIA

**Country: GEORGIA**

**ORGANIZATION:** Fauna and Flora
**POSITION:** Conservation officer
**PRESENTATION TOPIC:** Fauna and Flora's work for raptors conservation in Georgia
**E-MAIL:** Gizo.Seskuria@fauna-flora.org

Gizo Seskuria is a dedicated professional with a Master's degree in Geography and GIS technologies. His journey into conservation began in 2016 with his work at SABUKO. After that, he continued to work for migratory bird monitoring at BRC. Beyond his national endeavors, Gizo's passion led him to the Netherlands, where he deepened his expertise at the largest Nature rescue center (VRC Zundert), and he also had a chance to work at Animal Advocacy & Protection (AAP) which works to put an end to the suffering of exotic animals in Europe.

Gizo's journey has also extended across continents. He successfully completed a Conservation Science traineeship at Hawk Mountain Sanctuary in the United States which is the first refugee in the world for birds of prey, a transformative experience that deepened his



understanding of bird conservation practices and strategies.

Currently, Gizo holds the esteemed position of conservation officer within the Fauna and Flora Caucasus program. His active involvement in a diverse range of conservation projects underscores his unwavering commitment to protect our natural world and its inhabitants.



# GIORGI IANKOSHVILI

**Country: GEORGIA**

**ORGANIZATION:** Ilia State University;
**DEPARTMENT:** Institute of Ecology
**POSITION:** Researcher
**PRESENTATION TOPIC:** Reptiles and Amphibians of Georgia
**E-MAIL:** giorgi.iankoshvili.1@iliauni.edu.ge

Giorgi Iankoshvili is a Master of Ecology and has been involved in reptile research since 2013. At the initial stage, his main interest was related to lizards, but since 2016, he has been working on snakes, their distribution, and modeling. Since 2018, he has been involved in the Georgian, German, Armenian project - Caucasus Barcode of Life - CaBOL, where he is a field expert. From 2018, he was an assistant researcher at the Institute of Ecology, and from 2020, he became a researcher at the same faculty. He has worked in several environmental and research organizations and is also engaged in citizen science.

# გიორგი იანქოშვილი

**ქვეყანა: საქართველო**

**ორგანიზაცია:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
**დეპარტამენტი:** ეკოლოგიის ინსტიტუტი
**პოზიცია:** მკვლევარი
**პრეზენტაციის სახელწოდება:** საქართველოს ამფიბიები და ქვეწარმავლები
**ელექტრონული ფოსტა:** giorgi.iankoshvili.1@iliauni.edu.ge

გიორგი იანქოშვილი ეკოლოგიის მაგისტრია და ქვეწარმავლების კვლევაში 2013 წლიდან არის დაკავებული. საწყის ეტაპზე მისი ძირითადი ინტერესი ხვლიკებს ეხებოდა, 2016 წლიდან კი გველების გავრცელებაზე და მათი გავრცელების მოდელირებაზე მუშაობს. ჩართულია ქართულ, გერმანულ, სომხურ პროექტში - Caucasus Barcode of Life - CaBOL, სადაც არის დარგის ექსპერტი. 2018 წლიდან იყო ეკოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტი, 2020 წლიდან კი ამავე ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა რამდენიმე გარემოსდაცვით და კვლევით ორგანიზაციაში, ასევე ეწევა სამეცნიერო საქმიანობას ეკოგანათლების კუთხით.



კავკასიური სალამანდრა
(Mertensiella caucasica)



ხმელთაშუაზღვეთის კუ
(Testudo graeca)







ტბორის ბაყაყი -
Pelophylax ridibundus



# მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვების სათვალთვალო კოშკურა სახალვაშოში

სოფელი სახალვაშო გორაკის წვერზეა განლაგებული. ამ განსაცვიფრებელი ადგილიდან ქალაქ ბათუმის და ქობულეთის მთისწინეთის საოცარი პანორამული ხედები იშლება. სახალვაშო ერთი მხრიდან ზღვას და ბოტანიკურ ბაღს გადაჰყურებს, მეორე მხრიდან კი მტირალას ეროვნულ პარკს.

# Raptor watchpoint Sakhalvasho

The hilltop of Sakhalvasho is an amazing place. It offers a stunning panorama over both Batumi city and the foothills of Kobuleti. It overlooks the sea and the botanical garden on one side, and Mtirala national park on the other side.



# მტაცებელ ფრინვლებზე დაკვირვების სათვალთვალო პლათფორმა შუამთაში

შუამთა "BRC-Batumi Raptor Count"-ის  "ბათუმის მტაცებელი ფრინველების აღრიცხვის" მეორე დაკვირვების ადგილია, რომელიც სახალვაშოს ფრინველებზე დაკვირვების ადგილისგან მკვეთრად განსხვავდება. ბათუმიდან სულ რაღაც 30 წუთში შეგიძლიათ ახვიდეთ ამ ადგილზე, რომელიც სოფელ შუამთაში, პირდაპირ შუაგულ ტყეში, გორაკის შემაღლებაზეა განთავსებული. აქ ფრინველთა მიგრაცია მკვეთრად განსხვადება სახალვაშოსგან და სექტემბრის მეორე ნახევარში შედარებით უკეთესი ადგილია მტაცებლებზე დაკვირვებისათვის. ბევრი არწივი მიგრირებს ამ დროს აღნიშნული დაკვირვების ადგილიდან აღმოსავლეთით, ზემოდანაც ხშირად გადაუფრენენ, ამიტომ ეს ადგილი არწივების რაოდენობითაც ჭარბობს სახალვაშოს. გვიან სექტემბერსა და ადრე ოქტომბერში აქ შეგიძლიათ ნახოთ მცირე და დიდი მყივანი არწივის, ველის არწივის, გველიჭამია არწივის და ბექობის არწივის ერთგვარი შერეული გუნდები.

# Raptor watchpoint Shuamta

Shuamta, the Batumi Raptor Count's second count station, is remarkably different from Sakhalvasho. After a 30 minute drive over a gravel road in pretty bad condition, you arrive in a tiny village in the middle of the forested hills. The migration here is rather different from Sakhalvasho, and this is usually a better place to stand from the second part of September onwards. Many of the eagles take a more eastern route and pass over this station in greater numbers. In late September- early October, you get a pretty balanced mixture of lesser spotted, greater spotted, steppe, short-toed and imperial eagles.





## ჭოროხის დელტა

ბათუმის სამხრეთით მდებარე ჭოროხის დელტა ფრინველებზე დაკვირვებისთვის საუკეთესო ადგილადაა აღიარებული, თავისი ბიოტოპების მრავალფეროვნების გამო. ბუჩქები, მშრალი და სველი ბალახით დაფარული ბარი, ჭაობები, კლდეები და ზღვისპირი ჭოროხის დელტას შეადგენენ. მიგრაციის სეზონის დროს, მექვიშიები, თევზიყლაპიები და ბეღურები ყველაზე საინტერესო სათვალთვალო ობიექტებია დელტაში. ზამთარში კი აქ დიდი რაოდენობით გარეულ იხვს შეხვდებით.

## The Chorokhi delta

The Chorokhi delta south of Batumi has proven to be an excellent spot for birdwatching due to its high variety in biotopes: bushes, dry & wet grassy plains, marshes, a boulder plain, the seashore. During migration season waders, terns and passerine birds proved to be the most interesting groups represented in the delta. In winter very high numbers of waterfowl can be excepted in the area.



## მტირალას ეროვნული პარკი

მტირალას ეროვნული პარკი გამორჩეულია თავის ფლორით და უხვი მცენარეულობით. აქ არსებული ტყე ქმნის კარგ ჰაბიტატს კოდალებისთვის: დიდი ჭრელი კოდალა, მცირე ჭრელი კოდალა, დიდი თეთრზურგა კოდალა, მწვანე კოდალა, შავი კოდალა, ასევე იშვიათად მაგრამ შესაძლებელია სირიული კოდალა. ჩაქვის წყლის მდინარე ერთ-ერთი საუკეთესოა წყლის შაშვისთვის. საფეხმავლო ბილიკი 7 კმ-ს შეადგენს და მოიცავს თხილნარის ჩანჩქერს და მის ქვემოთ არსებულ საცურაო ავზს.

## Mtirala National Park

Mtirala literally means ‘crying’, which refers to the high annual rainfall in the park, exceeding 3,000mm in some parts. This area is of the highest value for conservation as it is mainly determined by a relict Colchic flora and plays an important role in ecosystem services such as natural water resources and the prevention of erosion. Almost all European species of woodpecker can be found here: Greater, Middle, and Lesser Spotted, Green and Grey-headed, Black and White-backed. Late winter and early spring are the best seasons to find them. The woods also hold many red-breasted flycatchers and green warblers, while dippers and grey wagtails can be spotted along the Chakvistskali river.



## ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ბათუმის ბოტანიკური ბაღი მშვენიერ ადგილსამყოფელს წარმოადგენს, როგორც ადგილობრივი, ასევე გადამფრენი ფრინველებისთვისაც. ბოტანიკური ბაღი ბათუმის მიდამოებში საუკეთესო ადგილია შავთავა ცოციასთვის. ახედეთ ფიჭვის ხეებს ბაღის შესასვლელისკენ მიმავალი გზის გასწვრივ და მოუსმინეთ ხმებს. აქ შეიძლება მწვანე და კავკასიური ყარანა აღმოაჩინოთ.

## Batumi Botanical Garden

The botanical garden is the best site near Batumi for Krueper’s nuthatch. Check the pine trees along the asphalted road that leads towards the entrance of the garden, and listen out for its characteristic sound. Green Warbler and Caucasian Chiffchaff can be found.



## ზღვისპირა პარკი

გარუჯვისა და კოქტეილ ბარების გარდა, ბათუმის სანაპირო ფრინველებზე დაკვირვების კარგ სანახაობასაც გთავაზობთ. ამისთვის საუკეთესო ადგილია ბათუმის ბულვარი, ბათუმის ნავსადგურის რამდენიმე მინდვრიანი ადგილი და ბოტანიკური ბაღი. წვიმიან დღეებში აქ განსაკუთრებით ბევრ გადამფრენ ფრინველს დაინახავთ და თუკი მაგრად გაგიწვიმდებათ, კაფეებიც იქვეა.

## Seaside Park

Apart from sunbathing and cocktail bars, the seacoast in and around Batumi also offers some good birding. The best areas are the Batumi boulevard park, some grassy parts of Batumi Harbor, and the botanical garden. Especially on rainy days, these are good spots, because many migrants come down, and you are never far from a café when it starts pouring down.

Photos by Christian Goenner



ორბი -
Eurasian Griffon Vulture



თეთრყელა ასპუჭაკა
Common Whitethroat



ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა
Common Redstart



ჩვეულებრივი კოჭობა
Common Rosefinch



ძერა - Black Kite



ყარყატი - White Stork



ჩვეულებრივი თოლია
Common Gull



კრაზანაჭამია ირაო
European Honey Buzzard



ჩვეულებრივი ყარანა
Chiffchaff


ქვინტა (მეკანაფია)
Common Linnet